



**განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი**

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საფირმო სახელწოდება)

ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ანა კანჯარაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ნათია მუნჯიშვილი

კვების დარგში ექსპერტი: ნათია თოთაძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ალექსანდრე თათარიშვილი

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია



1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღი
საიდენტიფიკაციო ნომერი	400306450
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ქ. თბილისის, გლდანის რაიონი, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი 1, ნაკვეთი 02/098
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, 1 მიკრო/რაიონი



<i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/>
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი <i>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)</i>	MES 6 26 0000053474 22/01/2026
ვიზიტის პერიოდი <i>(თარიღი)</i>	12-13 თებერვალი, 2026 წელი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ <i>(ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)</i>	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული “ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი” -ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.



N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
2	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში	ქართული		294 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/> არ ეთანხმება <input type="checkbox"/>

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მამიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 22 იანვრის ბრძანება MES 6 26 0000053474 საფუძველზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრთა საავტორიზაციო ვიზიტი ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღში. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. საავტორიზაციო ვიზიტი დაიგეგმა 2026 წლის 12-13 თებერვალს, 10 საათიდან 18 საათამდე, ერთსაათიანი შესვენებით. ექსპერტების მიერ დამატებითი დოკუმენტაცია ადგილზე ვიზიტისას იქნა შესწავლილი. ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. მოხდა დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება და ფოტო გადაღება. ჩატარდა გასაუბრება, როგორც ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორთან, ასევე საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლებთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის ორივე დღეს ესწრებოდა ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი.

ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ პირისპირ გასაუბრებოდნენ პასუხისმგებელ პირებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია შესაბამის სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის დღის ბოლოს ჯამდებოდა ვიზიტის დღე. ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დროს გამოკვეთილი მიგნებების შესახებ. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. დაწესებულების პერსონალი აღნიშნავდა, რომ ავტორიზაციის პროცესი საკუთარი გამოწვევებისა და შესაძლებლობების უკეთ გააზრებაში დაეხმარა. ასევე, გამოთქვამდნენ მზაობას სიახლეების მიმართ. თანამშრომლები საუბარში აღნიშნავდნენ, რომ არსებული გამოწვევების დროულად იდენტიფიცირება და ავტორიზაციის სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა გააუმჯობესებს სკოლამდელი განათლების ხარისხს.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....



.....
.....

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება



ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² <i>(პროგრამის სახე - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა)</i> <i>(კურიკულუმის დასახელება - ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში;</i> <i>სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში)</i>		
2. კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება



	<input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია, რომელიც შემუშავებული აქვს ა(ა)იპ „ქ.თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბ66: 012335626 ბრძანებისა და ქ.თბილისის № 104 საბავშვო ბაგა-ბაღის წესდების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევის“ საფუძველზე, ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის დამტკიცებული ბრძანების (ბრძ.#60-ბ 08.09.2025) ა(ა)იპ „ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მუხლი 2-ის შესაბამისად, რაც დასტურდება ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმით (ოქმი #1 08.09.2025). დაწესებულების მისია ასე ჟღერს: “ ჩვენი ბაღის მისიაა შევქმნათ გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი. სადაც აღიარებულია მისი უფლებები და ინტერესები”. მისია ეხმიანება ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვას, გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე. დაწესებულების მისია არის შინაარსობრივად გასაგები და მამოტივირებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც შემუშავებული აქვს (ა)იპ „ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მუხლი 2-ის (ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება #60-ბ 08.09.2025 წ.) შესაბამისად, რაც დასტურდება ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმის (ოქმი #1 08.09.2025) საფუძველზე.

დაწესებულების ხედვაა: “ უახლოეს ხუთ წელიწადში საგანმანათლებლო სფეროს გაძლიერება”

- უნივერსალური დიზაინის პრინციპით საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება.
- მშობელთა/თემის ჩართულობით კურიკულუმის შესაბამისი გარე სივრცის მოწყობა.
- ბავშვზე ძალადობის პრევენციის ხელშეწყობი პოლიტიკის გაძლიერება.
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

დაწესებულების ხედვა განსაზღვრავს დაწესებულების განვითარების სამუალოვადიან და გრძელვადიან მიზნებს. იგი არის გასაგები და მოტივაციის მიმცემი თანამშრომლებისათვის.

დაწესებულების ღირებულებებია:

- კეთილგანწყობილი გარემო, ინკლუზიურობა და გუნდურობა: ვაფასებთ დაწესებულებაში თითოეული ინდივიდის ძლიერ მხარეებს, ინტერესებს, ვუზრუნველყოფთ რომ ყველა გრძნობდეს თავს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თანასწორად.

დაწესებულებას ღირებულებებში გათვალისწინებული ძირითადი პრინციპები-გარემო, ინკლუზიურობა, გუნდურობა, რომელთა გამოყენებითაც ის მოქმედებს, წარმოადგენს ორგანიზაციული კულტურის ნაწილს, აყალიბებს საზოგადოების მოლოდინებს ბაღთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობენ მისიიდან.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესს წარმართავს ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის აქტიური ჩართულობით, რომელიც შეიქმნა დაწესებულების დირექტორის ბრძანება #59-ბ 08.09.2025 წ. საფუძველზე. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა ქ.თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად: (ა)იპ „ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი” ბრძანება #60-ბ 08.09.2025 წ. ამ ბრძანების მუხლი 4-ისა და მუხლი 7-ის მიხედვით, პროცესში ჩართული დაინტერესებული პირები და სამუშაო ჯგუფის წევრები არიან:

წარმოდგენილი დაწესებულების დირექტორის ბრძანება (ბრძ. #59-ბ 08.09.2025წ), სამუშაო შეხვედრის ოქმი (ოქმი #1 08.09.2025), დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ და ფოტო მასალის გაცნობა ადასტურებს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქ.თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება #60-ბ 08.09.2025 წ) დამტკიცებულ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-6 და მე-8 მუხლები არეგულირებს დაინტერესებული მხარეებთან გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მეთოდებს. მისია, ხედვა და ღირებულებები პრეზენტაციის სახით გაზიარებულია დაწესებულების თანამშრომლებთან, რად დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებით: პერსონალთან ინტერვიუთი, ა(ა)იპ ქ.თბილისის #104 საბავშვო ბაღში შემუშავებულია მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარება ბაგა-ბაღის თანამშრომლებთან ოქმი #2 12.09.2025 და ფოტო მასალით.

ჩართულ და დაინტერესებულ მხარეებთან მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. რაც შეეხება, საჯაროობას, დოკუმენტი გამოკრულია დაწესებულების შესასვლელში, სადაც ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია გაცნობა და ამასთანავე, გაზიარებულია (ქ.თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის) სოციალურ (Facebook) გვერდზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი
2. (ა)იპ „ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნა” ბრძანება #59-ბ 08.09.2025
3. (ა)იპ „ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის” დამტკიცების ბრძანება #60-ბ 08.09.2025 წ.
4. დანართი #2 - (ა)იპ „ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი” ბრძანება #60-ბ 08.09.2025 წ.
5. ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმით (ოქმი #1 08.09.2025)
6. ა(ა)იპ ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაღში შემუშავებულია მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარება ბაგა-ბაღის თანამშრომლებთან ოქმი #2 12.09.2025
7. დაწესებულების სოციალური (facebook) გვერდი
8. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ
9. წარმოდგენილი ფოტო-მასალა

შეფასება:

1.1. დაწესებულების მისია

შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
---	---	---	---

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძანება #60-ბ 08.09.2025 წ. მუხლი 10) სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები, რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება აღნიშნული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5წელი) და დასასრულს, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისთვის ბაღი იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სამოქმედო გეგმა მონიტორინგდება კვარტალურად, ხოლო შეფასება-ყოველწლიურად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის ბაღი იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ასევე, მეთოდოლოგიაში გაწერილი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასება და პერიოდულობა, საანგარიშო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2,5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშების სახით, ნარატიული ფორმით. რაც შეეხება დაგეგმვის პროცესში ჩართულობას, სტრატეგიული მეთოდოლოგიის მე-4 მუხლის შესაბამისად, გაწერილია პროცესში ჩართული მხარეები. განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები, რასაც ადასტურებს: სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მარეგულირებელი წესი (ბრძანება #60-ბ 08.09.2025 წ მუხლი 13 და 14) . აღნიშნული ასევე დასტურდება დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუთი და შემუშავების პროცესის ამსახველი ფოტო მასალით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია



.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება №62-ბ, 10.09.2025წელი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი და აღნიშნული დამტკიცებული აქვთ 2025 წლის სექტემბრიდან 2029 წლის სექტემბრამდე. ის შემუშავდა სამუშაო ჯგუფის ფორმატში და ითვალისწინებდა პროცესის SWOT ანალიზის პრინციპის გამოყენებით წარმართვას, კერძოდ: დაწესებულებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრასა და ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირების შედეგად საშუალო ვადიანი გეგმების ჩამოყალიბებას და დაინტერესებულ მხარესთან გაზიარებას უკუკავშირის მისაღებად დოკუმენტის დეტალების სრულყოფის მიზნით. შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, ერთხი მხრივ, გამომდინარებს მისია, ხედვა, ღირებულებებიდან, ხოლო მეორე მხრივ ეყრდნობა SWOT ანალიზის შედეგებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, ა(ა)იპ ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება №63-ბ 10.09.2025. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-11 მუხლში აღნიშნულია, რომ სამოქმედო გეგმა ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას. სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია და ერთგვარ გაგრძელებას წარმოდგენს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში შემუშავებული მიზნებისა და ამოცანებისა, რომელიც შესრულების ნაწილს უზრუნველყოფს აქტივობების მეშვეობით. სამოქმედო გეგმაში ისეა აქტივობები გაწერილი, რომ დაწესებულებამ შეძლოს დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა. სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო ის აქტივობები, რომელიც ერთი წლის განმავლობაშია შესრულებადი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, ა(ა)იპ ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება № 63-ბ 10.09.2025. “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის” მუხლი 11-ის - სამოქმედო გეგმის შემუშავების მიხედვით, სამოქმედო გეგმის სავალდებულოდ შესავსები ველებია: 1. სტრატეგიული მიზანი; 2. ამოცანა; 3. აქტივობები; (საჭიროების შემთხვევაში - ქვეაქტივობაც) 4. შესრულების გაზომვადი ინდიკატორები; 5. განხორციელების ვადა თვეების ჭრილში; 6. პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები; 7. შესაბამისი რესურსები (დაფინანსების წყარო, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი). დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს ყველა სავალდებულო ველს და დამატებით არასავალდებულო ველსაც. ეს ველებია:

სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, ინდიკატორი, მტკიცებულება, განხორციელების პერიოდი თვეების ჭრილში, პასუხისმგებელი ერთეული/პირი, ადამიანური რესურსები, დაფინანსების წყარო, მატერიალური რესურსი, შესრულების სტატუსი და შესრულების მოკლე აღწერა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს. ხოლო, სამოქმედო გეგმა მონიტორინგდება კვარტალურად, შეფასება კი ხდება წლიურად. დაწესებულების საავტორიზაციო პერიოდისთვის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მტკიცებულებები არ ჰქონდა წარმოდგენილი, ვინაიდან სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების პერიოდი ამ ეტაპისთვის არ ყოფილა. გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წერილობითი ანგარიშების სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობა. ამ წესის მუხლი 15 - სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასება, პუნქტი #11. ანგარიშების გაზიარებისათვის გამოიყენება ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები. კერძოდ:

- ა) სოციალური მედია
- ბ) საჯარო ღონისძიებები, ვორქშოფები და ა.შ.
- გ) ბეჭდვითი მასალები (ფლაერები, ბანერები და ა.შ.)

ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს სტრატეგიული განვითარების ან სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ანგარიშის წარგენის პერიოდულობა. თუმცა, როგორც დაწესებულების დირექტორმა ინტერვიუში აღნიშნა, მეთოდოლოგია საჯარო ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს და იგი გამოყენებული იქნება დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის. სამოქმედო გეგმის შედეგები წარმოდგენილი იქნება წერილობითი ანგარიშის სახით, რომელიც გამოიკვრება დაწესებულების თვალსაჩინო ადგილზე და გამოქვეყნდება დაწესებულების ფეისბუქ გვერდზე. ასევე, დაეგზავნებათ დაინტერესებულ პირებს ელექტრონულ ფოსტაზე .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. (ა)იპ „ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის” დამტკიცების ბრძანება #60-ბ 08.09.2025 წ.
2. დანართი #2 - (ა)იპ „ქ. თბილისის N104 საბავშვო ბაგა-ბაღის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი” ბრძანება #60-ბ 08.09.2025 წ.
3. ა(ა)იპ ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული გეგმის დამტკიცების თაობაზე №62-ბ, 10.09.2025წელი
4. ა(ა)იპ ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის სტრატეგიული გეგმა
5. ა(ა)იპ ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე №63-ბ, 10.09.2025წელი



6. ა(ა)იპ ქ. თბილისის #104 საბავშვო ბაგა-ბაღის სამოქმედო გეგმა
7. ინტერვიუ დაწესებულების პერსონალთან
8. ფოტო მასალა

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში

სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმით:

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

- 1) 2-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ (2020 წელი)
- 2) 5-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ (2015 წელი)
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:
 1. ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება: N 70-ბ. თარიღი: 17 სექტემბერი 2025
ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი მეთოდოლოგიის და წესის დამტკიცების თაობაზე
 2. ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება: N69-ბ თარიღი: 16 სექტემბერი 2025
ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის შერჩევაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის თაობაზე
 3. ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის ოქმი N4 თარიღი: 12.17.09.2025 წელი
კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი მეთოდოლოგიის და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე
 4. ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის ოქმი N4(1) თარიღი: 17.09.2025 წელი
1. კურიკულუმის შერჩევა
5. ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება: N 71-ბ. თარიღი: 18 სექტემბერი, 2025
ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის დამტკიცების თაობაზე
ბრძანებაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:
„ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და
სასკოლო მზაობის პროგრამა - “თამაში“ (აქტივობათა კრებული 1, 2 ნაწილი).
6. დანართის სახით კურიკულუმების PDF ვერსია:
 - 1) „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ (ნაწილი I ადრეული განათლების კურიკულუმი 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; ნაწილი II პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის).
 - 2) „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ (აღმზრდელის სახელმძღვანელო)
დაწესებულებაში ვიზიტისას აღნიშნული კურიკულუმები მატერიალური სახით დაგვხვდა ადგილზე.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რითიც ხელმძღვანელობს 2-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს და ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც ვლინდება აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში.

2. დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, რომლითაც ხელმძღვანელობს 5-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს და ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი : „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ 2-დან 5წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რითიც ხელმძღვანელობს 2-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. აღნიშნული კურიკულუმი ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ეფუძნებოდეს თამაშს, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში.

2. დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, რითიც ხელმძღვანელობს 5-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. აღნიშნული კურიკულუმი ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ეფუძნებოდეს თამაშს, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი : „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რომლითაც ხელმძღვანელობს 2-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში. კურიკულუმი ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობასა და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს თემთან თანამშრომლობასა და მათ ჩართულობას პროცესში, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში.

2. დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, რომლითაც ხელმძღვანელობს 5-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობასა და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს

ოჯახთან თანამშრომლობასა და მათ ჩართულობას, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში. კურიკულუმი ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობასა და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს თემთან თანამშრომლობასა და მათ ჩართულობას პროცესში, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რითიც ხელმძღვანელობს 2-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში. კურიკულუმი ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში.

2. დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, რითიც ხელმძღვანელობს 5-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში კურიკულუმი ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება შემდეგში: აღნიშნული კურიკულუმი ეყრდნობა და ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც გათვალისწინებულია ამ კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კურიკულუმის გაზიარების წესი და არხები გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შემდეგ დოკუმენტებში:

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება: N 70-ბ. თარიღი: 17 სექტემბერი 2025

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი მეთოდოლოგიისა და წესის დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული წესი მოიცავს კურიკულუმის გაზიარების შემდეგ ჩანაწერს: მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარება. სადაც განსაზღვრული აქვს დაინტერესებული მხარეები: ა) მშობლები; ბ)

დაწესებულების პერსონალი; გ) თემი/მუნიციპალიტეტი; დ) სხვ. აქვე აღნიშნულია, რომ დაწესებულება კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს. ამ არხების საშუალებით დაწესებულება გაუზიარებს კურიკულუმს აღნიშნულ სამიზნე აუდიტორიას.

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება: ბრძანება N 76-ბ. თარიღი: 25 სექტემბერი, 2025 წ.

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ. სადაც წინასწარ განსაზღვრულია შემდეგი საკომუნიკაციო საშუალებები: “მუხლი 4. საკომუნიკაციო არხების შერჩევა “ ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების (Google Meet) მეშვეობით- გ) მატერიალური კორესპონდენცია; დ) საინფორმაციო დაფები; ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ვ) სატელეფონო ზარები; ზ) ელექტრონული ფოსტა; თ) 104 ბაღის სოციალური მედიის Facebook პლატფორმა; თ) სოციალური მედიის, Facebook-ის, messenger-ის დახურული ჯგუფები.

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N 77-ბ თარიღი: 26 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილია შემდეგი აქტივობა:ლონისძიების აქტივობის დასახელება:” მშობელთა სკოლის ჩამოყალიბება”, ლონისძიების შინაარსი: “კურიკულუმის გაცნობა.” სამიზნე აუდიტორია: ” შიდა და გარე აუდიტორია”

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და კურიკულუმი: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან პირისპირ შეხვედრაზე. დაწესებულებამ აღნიშნულის მტკიცებულებად წარმოადგინა შეხვედრის ოქმი: ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის გაზიარების შეხვედრის ოქმი N6 და ასევე ამ შეხვედრის ამსახველი ფოტო მასალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დამტკიცების ბრძანება:

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N69-ბ თარიღი: 16 სექტემბერი, 2025

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის შერჩევაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის თაობაზე

2. კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი და ამ წესის დამტკიცების ბრძანება:

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N 70-ბ. თარიღი: 17 სექტემბერი, 2025

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი მეთოდოლოგიისა და წესის დამტკიცების თაობაზე.

3. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შხვედრის ოქმი:

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის ოქმი N4 თარიღი:12.17.09.2025 წელი კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი მეთოდოლოგიისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე.

4. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შხვედრის ოქმი:

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრის ოქმი N4(1)

17.09.2025 წელი

1.კურიკულუმის შერჩევა

5. კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება:

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N 71-ბ. თარიღი: 18 სექტემბერი , 2025

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის დამტკიცების თაობაზე

6. დაწესებულების პერსონალის შეხვედრის ოქმი:

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის გაზიარების შეხვედრის ოქმი N6.

7. კურიკულუმის გაზიარების ამსახველი ფოტოები, დოკუმენტები/მასალები.

8. ინტერვიუს შედეგები

9. დანართი: კურიკულუმის PDF ვერსია.

10. კურიკულუმის გაზიარების ამსახველი ფოტოები, დოკუმენტები/მასალები.

11. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.

12. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების ბრძანება:

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N 76-ბ. თარიღი: 25 სექტემბერი 2025 წ.

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

13. საკომუნიკაციო გეგმა.

14. საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების ბრძანება:

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N 77-ბ თარიღი: 26 სექტემბერი 2025

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
---	---	---	---

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

- დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: მოკლევადიან ერთკვირიან და გრძელვადიან ერთთვიან გეგმებს. დაწესებულებამ წარმოდგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე, რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნულ წესში (მუხლი. 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) გაწერილია გეგმის/გეგმების შედგენის პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირად: მოკლევადიანი ყოველკვირიული და გრძელვადიანი ერთწლიანი. ამავე წესში აღნიშნულია,

რომ გეგმა/გეგმებს აწარმოებენ შერჩეული კურიკულუმების შესაბამისად. იგივე დასტურდება შემდეგი ბრძანებით: ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N 75-ბ თარიღი: 24 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმების დამტკიცების თაობაზე. ამ ბრძანებით დამტკიცებულია შერჩეული კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის დასაგეგმად სარეკომენდაციო მოკლე და გრძელვადიანი გეგმის ფორმა, რომელიც წარმოადგენილია დანართის სახით. აღნიშნულ დანართით წარმოდგენილი გეგმა/გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა (მოკლევადიანი ერთკვირიანი და გრძელვადიანი ერთწლიანი) შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

- დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობასა და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: მიმდინარე გეგმა (მოკლევადიანი ერთკვირიანი, რომელიც ყოველკვირეულად დგება და გრძელვადიანი ექვსთვიანი ან/და ერთწლიანი, ასევე ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა). დაწესებულებამ წარმოდგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე. რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი, აღნიშნულ წესში (მუხლი. 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) გაწერილია გეგმის/გეგმების შედგენის პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირად: მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი ერთწლიანი. ამავე წესში აღნიშნულია, რომ გეგმას/გეგმებს აწარმოებენ შერჩეული კურიკულუმების შესაბამისად. იგივე დასტურდება შემდეგი ბრძანებით: ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N 75-ბ თარიღი: 24 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმების დამტკიცების თაობაზე. ამ ბრძანებით დამტკიცებულია შერჩეული კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის დასაგეგმად სარეკომენდაციო მოკლე და გრძელვადიანი გეგმის ფორმა, რომელიც წარმოადგენილია დანართის სახით. აღნიშნული დანართით წარმოდგენილი გეგმის/გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა (მოკლევადიანი ერთკვირიანი და გრძელვადიანი ერთწლიანი) შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოდგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე. რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელშიც აღნიშნულია: „ მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა: 3. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ გუნდურად, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. 4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.“ ამ ჩანაწერით დასტურდება, რომ დაწესებულება აცნობიერებს გეგმის/გეგმების შემუშავების თანამონაწილეობით პროცესს, რომელიც უნდა განხორციელდეს ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალში მოიაზრება აღმზრდელი და მუსიკის მასწავლებელი, ასევე საჭიროების შემთხვევაში ამ პროცესში ერთვება ფსიქოლოგი, სპეცმასწავლებელი. გრძელვადიანი გეგმა იქმნება სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ ჩანაწერს და იცის, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის შესაბამისი გეგმის/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და იგი უნდა განხორციელდეს ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოდგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე. რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: დღის განრიგი, აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო, სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები. ამავე წესის თანახმად, პრაქტიკაში აღნიშნულ დოკუმენტაციაში თავს იყრის ინფორმაცია ჯგუფის საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ. ამავე წესის (მუხლი 3.) აღნიშნულია, რომ: „ მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმების ფორმები მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ ჩანაწერს და იცის, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოდგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე. რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: დღის განრიგი, აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო, სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები. ამავე წესის თანახმად, პრაქტიკაში აღნიშნულ დოკუმენტაციაში თავს იყრის ინფორმაცია ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ. ამავე წესის (მუხლი 3.) აღნიშნულია, რომ: „მოკლევადიანი ფორმები მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა: ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; ასევე განსაზღვრულია მუხლი 4. ინდივიდუალიზაციის ასპექტი. ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, განსაზღვრული ინდივიდუალიზაცია ვლინდება: ა) მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით; ბ) დაწესებულების მიერ ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გზით; 2) ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები. ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ ჩანაწერს და იცის, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოდგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროცესისა და ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები. ამავე წესის თანახმად, პრაქტიკაში აღნიშნული ინფორმაცია იკითხება გეგმა/გეგმებში. ინდიკატორის მოთხოვნას აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმებიც. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ მიდგომებსა და სტრატეგიებს, რაც ინტერვიუს შედეგად. დადასტურდა დაწესებულებაში ვიზიტისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დამტკიცებული კურიკულუმები აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნას განსაზღვრავს შემდეგნაირად: დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ შემოქმედებით,

კვლევით, მოძრავ, საგნებით მანიპულაციურ, სენსორულ, კონსტრუქციულ, სამაგიდო, წესებიან და ზომიერად რისკიან თამაშებში. აღნიშნული თამაშების შესაძლებლობას ფიზიკური გარემოს მოწყობა უნდა იძლეოდეს, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური თამაშებისთვის, როგორც შენობის შიგნით ასევე შენობის გარეთ. ფიზიკური გარემო უნდა მოიცავდეს შემდეგ ცენტრებს: დრამატულ, სენსორულ, სამაგიდო, კონსტრუქციულ, ხელოვნების, მეცნიერების, წიგნიერების ცენტრებს. მიმდინარე პრაქტიკისას მსგავსი ინფორმაცია იკითხება დღის განრიგში, კვირის გეგმასა და საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსურ ჩანაწერებშიც. დაწესებულებამ წარმოდგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, რომელშიც აღნიშნულია: „მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა: 2. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი; 3) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.“, დაწესებულებაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს კურიკულუმის შესაბამისი გეგმის/გეგმების ფორმებს, სადაც გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული კომპონენტები. ასევე, ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას დადასტურდა, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ დრამატულ, სენსორულ, სამაგიდო, კონსტრუქციულ, ხელოვნების, მეცნიერების, წიგნიერების თამაშებში, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, როგორც შენობაში, ისე მის გარეთ. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით: ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. წესში გაწერილია შემდეგი მექანიზმი და პერიოდულობა: “მუხლი 6. საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება. პუნქტი 1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება ა (ა) იპ ქ. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ N 104 ბაღის მოთხოვნის საფუძველზე სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით. პუნქტი 2. საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით: მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ჯგუფების მიხედვით - შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ჯგუფების მიხედვით - შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა ა(ა)იპ ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში - შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა - შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფების მიხედვით - ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით წელიწადში ერთხელ). საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით. დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს: ა) მოგროვება; ბ) დამზადება. ამავე წესის თანახმად არსებულ მექანიზმთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი, ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ (1) თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის რესურსების მინიმალური ჩამონათვალი“. აღნიშნული ჩამონათვალი თანხვედრაშია ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის - ის მიერ შერჩეული კურიკულუმ(ებ)თან. ადგილზე ვიზიტისას დაგვხვდა აღნიშნული ჩამონათვალის შესაბამისი რესურსი. დაწესებულებამ წარმოადგინა ამ რესურსის ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, როგორცაა: სასაქონლო ზედნადები, ინვენტარიზაციის დოკუმენტი, ბიბლიოთეკის აღრიცხვის ჟურნალი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სკოლამდელი დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე საგანმანათლებლო რესურსი სწრაფად ცვლადი და ხარჯვადია, აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია რესურსების რაოდენობა აღემატებოდეს საგანმანათლებლო რესურსების მინიმალურ ჩამონათვალს არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ მრალფეროვნებითა და ნაირგვარობითაც.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: დაწესებულების შიდა და გარე სივრცე უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. უნდა იძლეოდეს სხვადასხვა ტიპის, აქტიური და პასიური, ჯგუფური და ინდივიდუალური თამაშების, მათ შორის ზომიერად რისკიანი თამაშებისა და მოსვენების საშუალებას. ჯგუფური ოთახების ფიზიკური გარემო დაყოფილი უნდა იყოს ფუნქციურ ცენტრებად და აღჭურვილი შესაბამისი ავეჯით, რესურსებითა და მიმანიშნებლებით. ეს ცენტრებია: დრამატული, კუბურების, სამაგიდო, ხელოვნების, სენსორული, მეცნიერების, წიგნიერების, მოსასვენებელი სივრცე. ფიზიკური გარემო მყუდრო, კედლები ნეიტრალურ ფერში, ოთახი ხის ფაქტურის ავეჯით გაწყობილი. თაროები ბავშვის სიმაღლის, რესურსი ბავშვისთვის ხელმისაწვდომი. ცენტრები და თაროები ბავშვის სიმაღლეზე აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, ასევე რესურსის შესანახი კონტეინერები, რათა ბავშვს გაუადვილდეს ორიენტაცია სივრცეში და რესურსების დახარისხება. ფიზიკური გარემო უნდა იძლეოდეს მოდიფიცირების საშუალებას. გარე სივრცე/ეზოც უნდა იყოს დაყოფილი სხვადასხვა ფუნქციურ ცენტრებად. ეზოს ფიზიკური გარემო ჯგუფის მსგავსად ფუნქციურ სივრცეებად უნდა იყოს მოწყობილი. ეს სივრცეებია: დრამატული სივრცე, სახელოსნო სივრცე, ადგილი მოძრავი თამაშებისთვის, სამრომილო, საქვიშე.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, დაყოფილია ფუნქციურ ცენტრებად და აღჭურვილია ხის ფაქტურის ავეჯით, შესაბამისი რესურსებითა და მიმანიშნებლებით. ეს ცენტრებია: დრამატული, კუბურების, სამაგიდო, ხელოვნების, სენსორული, მეცნიერების, წიგნიერების, მოსასვენებელი სივრცე. ცენტრები აღნიშნულია შესაბამისი მინიშნებებით, რესურსის შესანახი კონტეინერებიც. ჯგუფების ინდივიდუალურ ფოიეში ბავშვებს აქვთ ინდივიდუალური კარადები პირადი ნივთების შესანახად. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პერსონალისთვის მოწყობილია ეგრედ წოდებული სამასწავლებლო-სივრცე თანამშრომლობითი ურთიერთობისთვის. დაწესებულებას შიდა სივრცეში აქვს დარბაზი, რომელსაც იყენებენ მუსიკალური და სენსორული აქტივობებისთვის. დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არის საჩრდილობლები, საქანელები, სასრილო, საქვიშე, ხის პატარა სახლები(ქოხები) და სჩრდილობლები მოწყობილია სხვადასხვა ფუნქციურ ცენტრებად. მაგ: დრამატული თამაშებისთვის. ასევე სივრცე მოძრავი თამაშებისთვის - შემოდობილი სტადიონი. დაწესებულების ეზო მოწყობილია, როგორც ქალაქის ქუჩები ავტომობილების გადასადგილებლად, შუქნიშნებით, ზებრა გადასასვლელებითა და ავტობუსის გაჩერებით. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი 2025, რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. წესში გაწერილია მუხლი 7. ფიზიკური გარემოს მოწყობა, სადაც

აღნიშნულია, რომ: „ 1. დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს. 2. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად. 3. დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.“

ჯგუფური ოთახის მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია. ხოლო გარე სივრცეში/ეზოში კურიკულუმის მოთხოვნასთან შესაბამისობისთვის აკლია გასაძრომი მოწყობილობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის/ეზოს ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმ(ებ)ის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღმოფხვრისთვის, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, შემდეგი აქტივობით: „შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა / აქტივობები (კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას): დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის/ეზოს ფიზიკური გარემოს მოწყობას განსახორციელებელი კურიკულუმ(ებ)ის შესაბამისად. აქტივობის დაწყების სავარაუდო თარიღი: 28.04.2026; აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი: 28.04.2027; შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები (თვეებში) 12 თვე. შესაბამისობის ტიპი (მეტწილი/ნაწილობრივი) - მეტწილი. პასუხისმგებელი პირი /სტრუქტურული ერთეული-ბაღის დირექტორი, ბაღების მართვის სააგენტო; საჭირო რესურსი (მატერიალური/ფინანსური) ბაღის და სააგენტოს მატერიალური და ფინანსური რესურსი; საჭირო რესურსი (ადამიანური)-ბაღის ადამიანური რესურსი.“

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: დაწესებულების ოთახის და გარე სივრცე უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. სივრცე დაყოფილი უნდა იყოს ფუნქციურ ცენტრებად, სადაც ბავშვებს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა ექნება. აღნიშნული ცენტრებში რესურსი ფუნქციისა და შინარსის მიხედვით უნდა იყოს განაწილებული. რესურსი უნდა იყოს, როგორც ქარხნული, ასევე ბუნებრივი და მეორეული მასალებით დამზადებული. ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თაროები და მათზე განლაგებული რესურსებიც, ასევე თაროები და რესურსის შესანახი კონტეინერები აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი მინიშნებებით.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია. ავეჯი ბავშვის სიმაღლისა და მათზე განლაგებული რესურსი ბავშვისთვის ხელმისაწვდომია. სივრცე დაყოფილია ფუნქციურ ცენტრებად, სადაც ბავშვებს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა აქვთ. აღნიშნული ცენტრებში რესურსი ფუნქციისა და შინარსის მიხედვითაა განაწილებული. ჯგუფებში არსებული რესურსი არის, როგორც ქარხნული, ასევე ბუნებრივი და მეორეული მასალებით დამზადებული. რესურსის შესანახი კონტეინერები აღნიშნულია შესაბამისი მინიშნებებით.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება შემდეგში: დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არის საჩრდილობლები, საქანელები, სასრილო, საქვიშე, საჩრდილობლები მოწყობილია სხვადასხვა ფუნქციურ ცენტრებად. ასევე ქოხები დრამატული, მეცნიერებისა და სენსორული თამაშებისთვის, ბავშვებს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა აქვთ. დაწესებულების ეზო მოწყობილია, როგორც ქალაქის ქუჩები ავტომობილების გადასაადგილებლად, შუქნიშნებით, ზებრა გადასასვლელებითა და ავტობუსის გაჩერებით, ასევე აქვთ საბავშვო ავტომობილები. აღნიშნული ცენტრებში რესურსი ფუნქციისა და შინარსის მიხედვითაა განაწილებული. არსებული რესურსი არის, როგორც ქარხნული, ასევე ბუნებრივი და მეორეული მასალებით დამზადებული. ავეჯი ბავშვის სიმაღლისა და მათზე განლაგებული რესურსი ბავშვისთვის ხელმისაწვდომია. საგანმანათლებლო რესურსი განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისი და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც ჯგუფში ასევე ეზოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმში განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად:

დაწესებულების ოთახის და გარე სივრცე უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. უნდა იძლეოდეს აქტიური და პასიური, ჯგუფური და ინდივიდუალური თამაშების შესაძლებლობას. ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობას.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, დაყოფილია ფუნქციურ ცენტრებად და აღჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და რესურსებით. ეს ცენტრებია: დრამატული, კუბურების, სამაგიდო, ხელოვნების, სენსორული, მეცნიერების, წიგნიერების, მოსასვენებელი სივრცე. აღნიშნულ ცენტრებში ბავშვებს შეუძლიათ ითამაშონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, როგორც პასიური, ისე აქტიური თამაშები. 2-3 წლიან ჯგუფებს აქვთ საძინებლები, დანარჩენ ჯგუფებს შიდა სივრცეში მოსასვენებელი სივრცე, სადაც ბავშვს შეუძლია განმარტოება და დასვენება. დაწესებულებას აქვს დარბაზი სადაც ბავშვებს აქვთ აქტიური თამაშის შესაძლებლობა. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობაც კურიკულუმის შესაბამისია, ეზოში არის საჩრდილობლები, ხის სახლები(ქოხები), საქანელები, სასრილო, საქვიში, საჩრდილობლები მოწყობილია სხვადასხვა ფუნქციურ ცენტრებად. ასევე ქოხები დრამატული, მეცნიერებისა და სენსორული თამაშებისთვის, აღნიშნულ ცენტრებში ბავშვებს შეუძლიათ ითამაშონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, როგორც პასიური, ისე აქტიური თამაშები. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულების ფიზიკური სივრცე მოწყობილია იმგვარად, რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც თანხვედრაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მეთოდებთან, რომელიც დაწესებულებას გაწერილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესში, რომელიც დამტკიცებულია შემდეგი ბრძანებით: ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 (მუხლი 8.) საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; ამავე წესში აღნიშნულია, რომ ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია და ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ. ასევე დაწესებულებამ აღნიშნული წესის დანართის სახით წარმოადგინა ბავშვის შეფასების ფორმები და ცხრილები, რომელიც დაწესებულების მიერ დეკლარირებული კურიკულუმის შესაბამისია. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და აცნობიერებს დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობის მნიშვნელობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც თანხვედრაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მეთოდებთან, რომელიც დაწესებულებას გაწერილი აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესში რომელიც დამტკიცებულია შემდეგი ბრძანებით: ბრძანებით: ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 (მუხლი 8. მუხლი 9.) წესში აღნიშნულია, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; აღნიშნულ წესს თან ერთვის დანართი #1 - ბავშვის შეფასების ფორმა, სადაც გაწერილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სრული ციკლი. ამას გარდა, ამავე დანართით წარმოდგენილი შეფასების ფორმები მოიცავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტში გაწერილ ბავშვის განვითარების სტანდარტის სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ წესსა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს და აცნობიერებს, რომ შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/მოდულიზაციისთვის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გამოყენებას შემდეგნაირად: ფიზიკური გარემოს მორგება ბავშვის/მთლიანი ჯგუფის საჭიროებაზე; გეგმა/გეგმების შედგენისას ბავშვის/მთლიანი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება; საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო რესურსების მობილიზება; აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის მიერ ეფექტური სტრატეგიების გამოყენება; ზომიერად დამლევადი გამოწვევების შექმნა;

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება: ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. ამ წესის (მუხლი 8.) შესაბამისად ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა იცის, თუ როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგები საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობას, დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება: ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. ამ წესის მუხლი 8. პუნქტი 7. : „ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ-პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით.“ მუხლი 9.(პუნქტი 1. პუნქტი 2.) 1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. 2. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან განხორციელდება ინდივიდუალურად. დაწესებულებას ამავე წესის მუხლი 10. (პუნქტი 7) გაწერილი აქვს რა ტიპის დოკუმენტებს უზიარებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს: „ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას და ასევე უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.“ დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა იცის, თუ როგორ ჩართოს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი შეფასების პროცესში და როგორ გააცნოს მათ ბავშვის შეფასების შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე;

ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;

2. დღის განრიგი;
3. დაკვირვების და შეფასების ფორმები;
4. გეგმის/გეგმების ფორმები;
5. ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, სასაქონლო ზედნადები, წიგნების აღრიცხვის ჟურნალი/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტი;
6. ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა ეფუძნება: “1. საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას; 2. ფიზიკური გარემოს შეფასებას; 3. მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის უკუკავშირს; 4. პერსონალის თვითრეფლექსიას; 5. სხვა;“ რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტით: ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება

N74-ბ თარიღი: 23 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი. (მუხლი 11.) საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება ითვალისწინებს: კურიკულუმის შეფასებას; საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას; ფიზიკური გარემოს შეფასებას; მშობლების/კანონერი წარმომადგენლის უკუკავშირს და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანება N 70-ბ. თარიღი: 17 სექტემბერი 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი მეთოდოლოგია და წესი, რომელიც მოიცავს ხარისხის სრულ ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასებასა და განვითარებას. მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება. პუნქტი 4. კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება: “ ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას; ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას; გ) მშობლების უკუკავშირს; დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას; ე) სხვა.” აქვე აღნიშნულია რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასება. ასევე, აღნიშნულია რა ფორმით და რომელი საკომუნიკაციო არხებით ხდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შეფასებაში. რაც შეეხება კურიკულუმში ცვლილებების შეტანასა და განვითარებას, ეს ნაწილი გაწერილია ამავე წესის მუხლი 5.- ში. აქვე აღნიშნულია, რომ შეფასების გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე შექმნა შეფასების გუნდი და დაამტკიცა დირექტორის ბრძანებით: ბრძანება N69-ბ თარიღი: 16 სექტემბერი, 2025 ა(ა)იპ ქ. თბილისის N 104 საბავშვო ბაგა-ბაღის კურიკულუმის შერჩევაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის თაობაზე. აღნიშნული წესის მიხედვით, კურიკულუმის შეფასება ხდება ორ წელიწადში ერთხელ. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება ანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

